



1567/3-2/22
21-02-2022

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლებასთან დაკავშირებით, შემდეგი სახის ინფორმაციას ავრცელებს:

„დასახლებამდე მისასვლელი ცენტრალური გზა და ხიდი დაზიანებულია, რის გამოც სოფელი ფაქტობრივად მოწყვეტილია გარე სამყაროს. დასახლებას არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი, მოსახლეობას აქვს სასმელი წყლის, სარწყავი არხების, კანალიზაციის პრობლემა, დასამონტაჟებელია გარე განათება“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, არის თუ არა 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აღნიშნული სოფლის დევნილი მოსახლეობის პრობლემების მოგვარება და რა თანმიმდევრობით? თუ 2022 წლის მანძილზე არ გაქვთ გათვალისწინებული აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირება, გამოიყოფა თუ არა თანხა 2023 წლის ბიუჯეტში?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1043-01-2-202204041449



N 01/1043

04/04/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2022 წლის 21 თებერვლის N1567/3-2/22 (სამინისტროში რეგისტრაციის N1645/01) წერილის პასუხად, რომელიც ეხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლებასთან მისასვლელი ცენტრალური გზის და ხიდის, სასმელი წყლის, სარწყავი არხების, კანალიზაციის და გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწყობის და მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით დანართის სახით გიგზავნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის წერილს (N126-1262208960).

დანართი 1გვ.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წ ა ლ ე ნ ჯ ი ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ა ბ ი ს მ ე რ ი ა
G E O R G I A
CITY HALL OF TSALENJIKHA MUNICIPALITY



წერილის ნომერი: 126-1262208960
თარიღი: 30/03/2022
პინი: 6252

ადრესატი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო (მოქმედი)

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

მინისტრის პირველ მოადგილეს

ბატონ ილია ბეგიაშვილს

ბატონო ილია,

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი წერილი შესწავლილიქნა და პასუხად გაცნობებთ: 2022 წლის ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული ფოცხო-ეწერის დასახლებაში წერილში მითითებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რადგან ადგილობრივი მწირი ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა. მართალია გზა არაა იდეალურ მდგომარეობაში, მაგრამ ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელია, თუმცა მერიას უკვე შესყიდული აქვს ფოცხო-ეწერის დამაკავშირებელი გზის ყველაზე კრიტიკული 1,3 კმ. მონაკვეთის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, განასხორციელებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 531628 ლარს. ხიდი გამართულია, მასზე ჩვეულებრივ მძიმე წონიანი და დიდ გაბარიტიანი ნებისმიერი ტვირთის გადატანა შესაძლებელია (წარმიადგენს ცენტრალურ ხიდს მდ. ენგურზე), ხოლო რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტის მომსახურებას, გაცნობებთ რომ წალენჯიხის მერიას მუნიციპალური ტრანსპორტი არ გააჩნია, დასახლებას კერძო გადამზიდები ემსახურება. გარე განათება მოწყობილია დასახლებაში თითქმის ყველა ქუჩაზე. ხოლო რაც შეეხება ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებს ძირითადად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში საკანალიზაციო ქსელის და მაგისტრალის რეაბილიტაციას, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას, გარე განათებას და სხვა სახის პატარა ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხმარდება.

ლაშა ზარქუა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050

5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA, GEORGIA TEL: 599647050

WWW.TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE